Giorgi Katamadze
E.mail:giorgi.katamadze@bsu.edu.ge
Assistant professor, Batumi Shota Rustaveli State University
Batumi, Georgia
orcid.org/0000-0002-2602-6861
Lela Tavdgiridze
E.mail:lela.tavdgiridze@bsu.edu.ge
Professor, Batumi Shota Rustaveli State University
Batumi , Georgia
orcid.org/0000-0001-8108-8718
Maia Bolkvadze
E.mail:maia.bokvadze@bsu.edu.ge
Doctor of Philology, Batumi Shota Rustaveli State University
Batumi, Georgia
orcid.org/0000-0002-4041-5871

ECONOMICS AND CHILDREN[1]

Abstract. *Economic awareness is the primary foundation for the human factor's participation in the rapid and irreversible processes of the modern world, which should be formed from the very early childhood education. Economic awareness and interest in connected topics began to emerge around the time that the concepts of "economic awareness," "economic culture," "economic education," and so on were first introduced into scientific literature.*

According to the hypothesis of this study, children can develop economic awareness through the use of children's literature, including fairy tales.

In general, the following three components are especially essential when considering the development of economic consciousness among children: Determination of the appropriate age of children; Identification of educational resources; Development of the methodology for forming economic awareness. In this study the theoretical framework for the research was developed based on Georgian and foreign scientific literature, as well as existing studies in the field of education; the research object was defined; and a mixed methodology of socioeconomic and humanities research was used to analyze the fairy tales and reach conclusions relevant to the research objectives.

The work is based on research conducted in private and public kindergartens across Georgia, with both educators and children participating. Furthermore, interviews with early education experts at several Georgian higher education institutions were conducted and the research findings provided.

Keywords: *economics, children, formation of economic awareness, early childhood education, fairytales*

JEL Classification: *A20; A21; I25; I26; P4;*

[1] *This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG), grant number FR-22-9547)"*

გიორგი ქათამაძე
E.mail:giorgi.katamadze@bsu.edu.ge
ასისტენტ-პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო
orcid.org/0000-0002-2602-6861
ლელა თავდგირიძე
E.mail:lela.tavdgiridze@bsu.edu.ge
პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო
orcid.org/0000-0001-8108-8718
მაია ბოლქვაძე
E.mail:maia.bokvadze@bsu.edu.ge
ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო
orcid.org/0000-0002-4041-5871

ეკონომიკა და ბავშვები[2]

აბსტრაქტი. *ეკონომიკური ცნობიერება თანამედროვე სამყაროს სწრაფ და შეუქცევად პროცესებში ადამიანური ფაქტორის მონაწილეობის შესაძლებლობის უმთავრესი საფუძველია, რომლის საწყისები ადრეული განათლების საფეხურიდან უნდა ყალიბდებოდეს. ეკონომიკური ცნობიერების ფორმირება და მასთან დაკავშირებული საკითხებისადმი ინტერესი იმ პერიოდიდან ჩნდება, როცა თავად ცნება „ეკონომიკური ცნობიერება“, „ეკონომიკური კულტურა“, „ეკონომიკური განათლება“ და ა.შ. დამკვიდრდა სამეცნიერო ლიტერატურაში.*

წინამდებარე კვლევის ჰიპოთეზის თანახმად ეკონომიკური ცნობიერების ფორმირება ბავშვებში შესაძლებელია საბავშვო ლიტერატურის, კერძოდ ზღაპრების გამოყენებით. ზოგადად, ბავშვებში ეკონომიკური ცნობიერების ფორმირების საკითხის განხილვისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი სამი კომპონენტი: ბავშვების ასაკის განსაზღვრა; საგანმანათლებლო რესურსების იდენტიფიცირება; ეკონომიკური ცნობიერების ფორმირების მეთოდოლოგიის შემუშავება.

როგორც ქართულ ასევე უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურასა და განათლების მიმართულებ-ით არსებულ კვლევებზე დაყრდნობით, შემუშავებულ იქნა კვლევის თეორიული ჩარჩო, განი-

[2] *კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (SRNSFG), გრანტის ნომერი FR-22-9547.*

საზღვრა საკვლევი ობიექტი; ზღაპრების ანალიზისა და კვლევის მიზნების შესაბამისი დასკვნების მისაღებად გამოყენებულ იქნა სოციალურ-ეკონომიკური და ჰუმანიტარული მეცნიერებების კვლევის შერეული მეთოდოლოგია.

ნაშრომი ეფუძნება საქართველოს სხვადასხვა ქალაქების კერძო და საჯარო საბავშვო ბაღებში ჩატარებულ კვლევას, რომელშიც მონაწილეობდა როგორც აღმზრდელ-პედაგოგები, ასევე აღსაზრდელები. ამასთანავე ინტერვიუები ჩატარდა ადრეული განათლების მიმართულების აკადემიურ პირებთან საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში და მიღებულია კვლევის დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკა; ბავშვები; ეკონომიკური ცნობიერების ფორმირება; ადრეული განათლება; ზღაპრები*

JEL კლასიფიკაცია: *A20; A21; I25; I26; P4;*

შესავალი

ეკონომიკა სახელმწიფოს ფუნქციონირების ფუნდამენტური მნიშვნელობის გარდა, საზოგადოების ფორმირებისა და მისი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროცესების გააზრების, შესწავლის, განვითარებისა და გაძლიერების საფუძველია. ეკონომიკა ისევე უზრუნველყოფს ადამიანის განვითარებას, როგორც ადამიანის განვითარება ეკონომიკური პროცესების სრულყოფას. სწორედ ეს ურთიერთკავშირი ქმნის იმ სინერგიას, რაც ადამიანის ცხოვრებას, მის კეთილდღეობას განსაზღვრავს. ეკონომიკის მნიშვნელობა მის სრულფასოვანი შესწავლის ინსპირაციას იძლევა და თითოეული კომპონენტის სიღრმისეული გააზრება მნიშვნელოვან ცოდნას მოითხოვს. თანამედროვე ცხოვრებაში მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ეკონომიკის ცოდნის მნიშვნელობა და მისი შესწავლის ასაკობრივი ზღვარი ბოლო წლებში დაწეულია, რამაც განაპირობა ის, რომ საუნივერსიტეტო განათლებიდან ეკონომიკის სწავლებას სასკოლო ანუ საშუალო საფეხურზე ხვდებით, ხოლო ჩვენი მოსაზრებით საბაზისო ეკონომიკური ცნებების შესწავლა ადრეული განათლების ბავშვებშიც კი შესაძლებელი და აუცილებელია, ვინაიდან ამ ასაკში არსებობს ეკონომიკური ცნობიერების ფორმირების საუკეთესო შესაძლებლობა. ადრეული ასაკიდან ბავშვის მიერ საბაზისო ეკონომიკური ცნებების გააზრება უზრუნველყოფს მის სათანადოდ მომზადებას ცხოვრებისათვის და ზოგადად სოციუმის დამოუკიდებელი წევრობისათვის.

ეკონომიკური განათლება და ფინანსური განათლება ხშირად სამეცნიერო ნაშრომებში იდენტური მნიშვნელობის ტერმინებითაა წარმოჩენილი და ფუნდამენტური თეორიების განხილვისას, ეკონომიკური და ფინანსური კონცეპტები გაიგივებულია ერთმანეთთან, მაშინ როცა, ეკონომიკური განათლება ფართო მნიშვნელობის ცნებაა, ის მოიცავს ეკონომიკასთან დაკავშირებულ ზოგად კონცეპტებს, რომლის შემადგენე-

ლი კომპონენტია ფინანსური განათლება. საქართველოს ეკონომიკური სისტემის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ დღის წესრიგში დადგა ეკონომიკური განათლებისა და აღზრდის საკითხი, სწორედ ამიტომ ბოლო წლებში უკვე სკოლის სხვადასხვა საგნებში გაჩნდა საბაზისო ეკონომიკური ცნებები და ასევე ეკონომიკასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია შეტანილია სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოებში. ეკონომიკა, პოლიტიკისა და სოციუმის განუყოფელი ნაწილია, რომელიც გარდა მეცნიერული მასშტაბურობისა, ადამიანისათვის ცხოვრების საბაზისო თეორიულ-პრაქტიკული უნარების გამომუშავების კომპლექსური ცოდნის სინთეზია (Tavdgiridze, Katamadze, & Bolkvadze, 2024).

ეკონომიკურად განათლებული მოქალაქეების ჩამოყალიბება საბავშვო ბაღიდან იწყება, რაც სხვა მნიშვნელოვან მიზნებს შორის, ბავშვებში გადაწყვეტილების მიღების უნარების გაუმჯობესებას ადრეულ ასაკშივე უწყობს ხელს (Kourilsky, 1977). ჩვენ ვემხრობით იმ მეცნიერთა მოსაზრებას, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ეკონომიკური კონცეპტების სწავლება საბავშვო ბაღის ასაკიდანვეა შესაძლებელი (Kourilsky , 1977; McKenzie, 1971; Larkins and Shaver, 1969; Davison and Kilgore, 1971; Koeller, 1981). კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ბავშვთა ასაკობრივ პერიოდიზაციასთან დაკავშირებით ქართველ და უცხოელ მეცნიერთა კვლევებზე დაყრდნობით, ასევე, საერთაშორისო კვლევებითა და სტანდარტებით ადრეული ასაკის ბავშვთა განსაზღვრებასა და საქართველოს კანონმდებლობით ადრეული ასაკის ბავშვის დეფინიციით, მიზანშეწონილად მივიჩნევთ, რომ ადრეულ განათლებაში საბაზისო ეკონომიკური განათლებისა და ეკონომიკური ცნობიერების ჩამოყალიბება/გაძლიერების ოპტიმალური ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფია 4 დან 6 წლის ჩათვლით, ანუ სკოლამდელი ასაკი (Tavdgiridze, Katamadze, & Bolkvadze, 2024).

მეთოდოლოგია

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნულ და ასევე სხვა ფუნდამენტურ შრომებზე დაყრდნობით, ჩვენს მიერ შემუშავდა კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც ამ ეტაპზე მოიცავდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში (ბათუმი, ქუთაისი, თბილისი, თელავი) საბავშვო ბაღებში (კერძო და საჯარო) აღმზრდელების, აღსაზრდელების და ასევე ადრეული განათლების საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ უმაღლეს სასწავლებელთა აკადემიურ პირებთან ჩაღრმავებულ ინტერვიუებს და ანკეტირებას. ჩვენი მიზანი იყო დაგვედგინა თუ რომელი ქართული ხალხური ზღაპრები იკითხება სხვადასხვა საბავშვო ბაღის წინასასკოლო ჯგუფებში, ვინ არჩევს ზღაპრებს აღსაზრდელებისათვის, როგორც იკითხება ეს ზღაპრები, რაზე კეთდება აქცენტები, აქვთ თუ არა აღსაზრდელებს შეკითხვები ზღაპრის მოსმენის შემდეგ და რა კონტექსტით განიხილება მსგავსი ზღაპრები.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია კვლევის შედეგები და დასკვნები.

ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომის თეორიული ჩარჩო განისაზღვრა როგორც უცხოურ ასევე ქართველ მეცნიერთა შრომებზე დაყრდნობით, რომელთა ფუნდამენტურმა მიდგომებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კვლევის სხვადასხვა ნაწილის კონცეპტუალიზაციაში.

ჟ. პიაჟეს (კოგნიტური განვითარების თეორია), ჯ.ბრუნერის (აღმოჩენებითი სწავლის თეორია), ა.ბანდურას (სოციალური შესწავლის თეორია) და სხვათა ფუნდამენტურ შრომებში სხვადასხვა კონტექსტში წარმოჩენილია ეკონომიკური და ფინანსური განათლების მნიშვნელობა ადრეული ასაკის ბავშვებში, ამ კონცეპტების შესწავლის შესაძლებლობასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და პედაგოგიური ასპექტები, რომელიც ასევე გვხვდება ქართველ მეცნიერთა შრომებში, კერძოდ: დ. უზნაძის, ქ. ჭკუასელის, ივ. ჭკუასელის, ნ. ჭიაბრიშვილის, ნ.ჯიჯავაძის, თ. საღინაძის და სხვათა შრომებში.

ადრეული ასაკის ბავშვებში საბაზისო-ელემენტარული ეკონომიკური ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობა არის მრავალი საერთაშორისო კვლევის თეორიულ-პრაქტიკული საფუძველი, რომელმაც არაერთი მეცნიერის ნაშრომში ჰპოვა ასახვა, მათ შორის Robert M.Bruker, 1970; Piaget, J. 1990; Harlan S. Hansen, 1985; W.E. Becker 2001, Bonnie T., Meszaros and Stella Evans 2010, Nutbrown, C., & Clough, P. 2014, Riggs, E. G., & Gil-Garcia, A. 2001, Sarv, E. S. 2003, Kourilsky , 1977; McKenzie, 1969; Sutton, 1967; Larkins and Shaver, 1969; Davison and Kilgore, 1971; Davison, Kilgore and Sgontz, 1973; Koeller, 1981 და სხვათა შრომებში.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე განვითარების ტენდენციები მნიშვნელოვნად აისახება ადამიანთა ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაზე. ბოლო პერიოდის მსოფლიო მასშტაბის კრიზისებმა, საომარმა პროცესებმა, პანდემიამ და ასევე ტექნოლოგიურმა განვითარებამ შეცვალა ცხოვრების ჩვეულებრივი წესი. გამოცდილებასა და ცოდნაზე დამყარებული ადამიანური ფაქტორი ტექნოლოგიური განვითარებისა და ხელოვნური ინტელექტის მიერ უფრო და უფრო დაკნინებულია. მრავალფეროვანი სამყაროსა და ადამიანური ფაქტორის იგნორირებისაგან დაცვის ინტერესი კაცობრიობის უმთავრეს ამოცანად უნდა იქცეს, ამ პროცესში უდიდესი ფაქტორი კი განათლებული და ძლიერი უნარებით აღჭურვილი საზოგადოებაა. სწორედ ამ მიზნით მეცნიერების დღის წესრიგში უნდა დადგეს ადრეული ასაკიდან საბაზისო სოციალური და ყოფითი ცნებების სწავლება-განვითარება, რომლის კონცეპტუალურ საფუძველს ეკონომიკური ცნობიერების ფორმირება წარმოადგენს.

ეკონომიკური ცნობიერება, ეკონომიკური კულტურა და მასთან დაკავშრიებული პროცესები ლოგიკური, გააზრებული გადაწყვეტილებების გარდა, ადამიანის ინდივიდუალურ აზროვნებაზე დამოკიდებულ სისტემას ქმნის, რომლის შედეგი მრავალფეროვანი მსოფლიო სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკურ-კულტურული გარემო და ერების ინდივიდუალური მახასიათებელია. სწორედ ბავშვებში, ადრეული

ასაკიდან იწყება ეკონომიკური, კოგნიტური, ზნეობრივი, ეკოლოგიური ცნობიერების ჩამოყალიბება და მოვლენების აღქმა, გააზრება და შესწავლა. კურილსკის (Kourilsky, M. 1977) თანახმად, ეკონომიკურ საკითხებში ცოდნის სიმწირემ შეიძლება მოქალაქის სხვადასხვა გადაწყვეტილებაზე მოახდინოს გავლენა, მათ შორის არჩევნებზეც, კერძოდ შესაძლებელია დაბალი ეკონომიკური ცნობიერების მქონე ამომრჩეველმა მარტივად და გულწრფელად დაიჯეროს, რომ ინფლაციის აღმოფხვრა, გადასახადების შემცირება, მარტივი ფულადი პოლიტიკის გატარება და ბიუჯეტის დაბალანსება ერთ ადამიანს შეუძლია. მკვლევრები თანხმდებიან იმაზე, რომ ეკონომიკური ცნობიერების ჩამოყალიბების ხელშეწყობა ბავშვებში, ადრეული განათლების საფეხურიდანვე, ანუ საბავშვო ბაღიდანვე შეიძლება (Kourilsky , 1977; McKenzie, 1969; Sutton, 1967; Larkins and Shaver, 1969; Davison and Kilgore, 1971; Davison, Kilgore and Sgontz, 1973; Koeller, 1981).

ეკონომიკური განათლება არის ბავშვებისათვის ეკონომიკური კატეგორიების, ასევე დამოკიდებულების, ადეკვატური ქცევის საჭიროებების, მოტივებისა და თვისებების ფორმირების გაცნობის პროცესი (ტოდოროვას, 2014). ასეთი სწავლების საფუძველზე შედეგების მიღწევა განისაზღვრება როგორც ეკონომიკური მომზადება. ოჯახი ბავშვის ეკონომიკური სოციალიზაციის ფაქტორია, ვინაიდან ეკონომიკას ბავშვი თავდაპირველად ოჯახში ეცნობა - მათ შორის ეცნობა ეკონომიკურ ქცევას, იყალიბებს გარკვეულ წარმოდგენას საკუთრებაზე, ეკონომიასა და ვალდებულებაზე და ა.შ. თუმცა, ოჯახში ეკონომიკური განათლების პარალელურად საჭირო ხდება ეკონომიკური განათლების მიღება საბავშვო ბაღში. „ეკონომიკური კულტურა ბავშვებს დაეხმარება შესაბამის განვითარებაში, რათა მიიღონ ღირებული უნარები საზოგადოებაში წარმატებული ინტეგრირებისთვის, დამოუკიდებელ და პასუხისმგებლიან მოქალაქედ ჩამოყალიბებისთვის“ (Todorova, 2014). ადრეული ასაკიდან სრულყოფილი განათლება ასევე ბავშვის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის საშუალებაცაა, რომელიც ასევე პრევენციულ მექანიზმად გვევლინება. (Katamadze, G., Tavdgiridze, L., & Bolkvadze, M., 2023).

წინამდებარე კვლევის ჰიპოთეზის თანახმად **ეკონომიკური ცნობიერების ფორმირება ბავშვები შესაძლებელია საბავშვო ლიტერატურის, კერძოდ ზღაპრების გამოყენებით.** ზღაპრების მნიშნელოვან ფუნქციაზე არაერთი მკვლევარი თანხმდება (Bruner, Kready, Rozalski, Gibbs და სხვ.). ზღაპრების კითხვა ან მათი მოსმენა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ პრაქტიკად მიიჩნევა, რომელიც გავლენას ახდენს ახალგაზრდა თაობებზე, აძლიერებს მათ და ამზადებს მომავალი ცხოვრებისთვის. ვინაიდან კულტურა გადამწყვეტია სწავლისთვის, ზღაპრებს ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს საზოგადოებაში ადამიანის როლის ფორმირებაში; ეს არის დიდაქტიკური, ფსიქოლოგიური/თერაპევტული და პედაგოგიური რესურსი (Bruner, 2010). კრიდის კვლევების მიხედვით, ზღაპრების პედაგოგიური ღირებულება საკმაოდ მაღალია და ბავშვის აღმზრდელობითი პროცესის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ზღაპრების საშუალებით ბავშვი ეზიარება სხვადასხვა ხედვას ცხოვრების შესახებ“ (Kready,1916).

გამოჩენილი ქართველი პედაგოგი, მკვლევარი გ. თავზიშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საბავშვო ლიტერატურას. „საბავშვო ლიტერატურის ყოველი ნაწარმოები უნდა ემსახურებოდეს ბავშვის გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური შრომითი ან ფიზიკური აღზრდის პრობლემების მხატვრულ გადაჭრას და ამით შეჰქონდეს თავისი წვლილი ბავშვთა ყოველმხრივი განვითარების საქმეში“. მკვლევრის შეფასებით, „საბავშვო ლიტერატურის სპეციფიკურობას უმთავრესად განსაზღვრავს მისი საგნისა და ამოცანებიდან გამომდინარე სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დანიშნულება, რომელსაც შეიძლება ეწოდოს საბავშვო ლიტერატურის პედაგოგიკური დანიშნულება. ეს დანიშნულება აძლიერებს საბავშვო ლიტერატურის შემეცნებით ხასიათს, რომელიც მოითხოვს ბავშვის ცნობიერების გამდიდრებას მეცნიერული ცოდნით და მისი მორალური იერის ჩამოყალიბებას მაღალი ზნეობრივი იდეალებით...

საბავშვო ლიტერატურას აქვს აგრეთვე მეორე დანიშნულებაც. ეს არის ესთეტიკური, რომლის მიზანია ბავშვის მხატვრული აზროვნების განვითარება, მისი ემოციური სამყაროს გამდიდრება. საბავშვო ლიტერატურის ეს ორი მთავარი დანიშნულება - პედაგოგიკური და ესთეტიკური - მისთვის თანაბარი მნიშვნელობისაა“ (თავზიშვილი, 1974).

ი. როჯერსისა და რ. უილერის (Rogers&Wheeler, 2004) თანახმად ეკონომიკური საკითხების ბავშვებისთვის სწავლების უმნიშვნელოვანესი მეთოდები მოიცავს ეკონომიკური შინაარსების მქონე საბავშვო ლიტერატურის - მხატვრულის და არა მარტო, საკითხავ სტრატეგიებს. **საქართველოს მაგალითზე მიგვაჩნია, რომ ადრეული განათ-ლების საფეხურზე ეკონომიკური კონცეპტების სწავლება ზღაპრებით, კერძოდ, ქართული ხალხური ზღაპრებითაა შესაძლებელი.** ვეთანხმებით მანძიკის (Mandzik, A. 2021) მოსაზრებას, რომ ეკონომიკის დისციპლინის მოტივაცია არც ისე განსხვავდება ზღაპრების ყოვლისმომცველი მიზნისგან. მაგალითად, ეკონომიკაშიც ვხვდებით მოტივირებულ ადამიანებს, რომლებიც მრავალ გამოწვევას აწყდებიან და არჩევანის გაკეთება უწევთ საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ. შესაბამისად, ზღაპრული ლიტერატურის ეკონომიკურ კონტექსტთან შერწყმით, შეგვიძლია შევქმნათ ახალი ობიექტივი ადამიანის საჭიროებებისა და შემდგომი ქმედებების გასააზრებლად - ჯადოქრობით თუ მის გარეშე (Mandzik, 2021). ბევრი სოციოლოგი ამტკიცებს, რომ ლიტერატურასთან ინტეგრირება ელემენტარული სოციალური სფეროების შესწავლის მეტ შესაძლებლობას მოგვცემს, გარდა ამისა სოციოლოგიის ყველა დისციპლინების შესწავლა ღრმავდება მაშინ, როცა მასწავლებლები კითხვას, წერას და დისკუსიებს კონკრეტული შინაარსობრივი მიზნების მისაღწევ ინსტრუმენტებად იყენებენ (e.g., Brophy & Alleman, 2008).

არსებობს მოსაზრება, რომ საბავშვო ბაღში ელემენტარული ეკონომიკური კონცეპტების დაუფლების პრობლემა დაკავშირებულია მთლიანად ეკონომიკურ განათლებაში ზოგად კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ მიდგომებთან, ასევე აუცილებელი ინფორმაციის ნაკლოვანებასთან ბავშვების კონკრეტული ასაკის თავისებურე-

ბებისა და სოციალურ-ეკონომიკური გარემოს მახასიათებლების შესახებ (Todorova, 2011).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეკონომიკური ცნობიერების ფორმირება ადრეულ ასაკში გარდა ბავშვის კოგნიტური შესაძლებლობისა ასევე დამოკიდებულია იმ გარემოზე სადაც ბავშვს უწევს ყოფნა. ჩვეულებრივ შემთხვევაში ძირითადად ეს არის საბავშვო ბაღი და ოჯახი. საბავშვო ბაღი ბავშვის სოციალური განვითარების ფუნდამენტური, ძირითადი ელემენტია და თანამედროვე ცხოვრებაში მისი როლი უფრო და უფრო იზრდება.

თანამედროვე ცხოვრებაში ადამიანის მატერიალურ-სოციალური მოთხოვნები ყოველდღიურად იზრდება. შესაბამისი ფინანსური შემოსავალი სამუშაოსთან და დროსთან არის დაკავშირებული. ოჯახებისთვის, სადაც მცირე ასაკიანი ბავშვები ცხოვრობს, საბავშვო ბაღი სასიცოცხლო ფუნქციას ასრულებს, ბაღები უზრუნველყოფს ბავშვების ოჯახის გარეთ მათ უსაფრთხოებასა და განვითარებას. სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს საბავშვო ბაღების რაოდენობის ზრდას.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისისათვის საქართველოში 1708 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებაა, რომელშიც 141324 აღსაზრდელი სწავლობს, აღმზრდელ-პედაგოგთა რაოდენობა კი 17620 შეადგენს. აქვე ზოგადი ტენდენციის სანახავად შეგვიძლია ვიხილოთ დინამიკა:

	2019/2020 წ	2020/2021 წ	2021/2022 წ	2022/2023 წ	2023/2024 წ
სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების რაოდენობა	1621	1647	1648	1668	1708
ჩართულ ბავშვთა რაოდენობა (აღსაზრდელები)	164605	158062	154501	148658	141324
აღმზრდელ-პედაგოგი/ აღმზრდელი	14309	16234	17194	16991	17620

წყარო: (საქსტატი, თ. გ.)

დინამიკა ნათლად აჩვენებს აღსაზრდელთა შემცირებას ბოლო 5 წლის განმავლობაში, კერძოდ 23281 აღსაზრდელით ნაკლებია მიმდინარე წელს 2019-2020 სასწავლო წლებთან შედარებით და აქვე აღსანიშნავია მეორე კომპონენტი აღმზრდელ-პედაგოგების ნაწილში, სადაც ბოლო 5 წლის განმავლობაში მათი რიცხვი გაზრდილია 3311-ით, ასევე 87-ით გაზრდილია სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები რაოდენობა.

ამ მონაცემებმა მოგვცა საფუძველი გაგვეანალიზებინა ქვეყანაში ზოგადად შობადობის სტატისტიკა, რომლის დინამიკა ასევე ნეგატიურია, კერძოდ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით ცოცხლად დაბადებულთა რიცხვი ბოლო 5 წლის განმავლობაში შემცირებულია 8082-ით.

დიაგრამა 1.



წყარო: (საქსტატი, თ. გ.)

ამ მონაცემებზე დაყრდნობით არსებობს ნაწილობრივი კორელაცია დაბადებასა და აღსაზრდელების რაოდენობის შემცირებას შორის, თუმცა ამ ეტაპზე ეს ჩვენი კვლევის მიზანი არ ყოფილა და მხოლოდ სკოლამდელი განათლების მიმართულებით არსებული ზოგადი მონაცემები გვაინტერესებდა.

კვლევის შედეგები

კვლევა მიმდინარეობა საქართველოს 4 სხვადასხვა ქალაქში (ბათუმი, თბილისი, ქუთაისი და თელავი), მასში მონაწილეობდა საქართველოს 40-მდე საჯარო და კერძო ბაღის აღმზრდელი. კვლევის სამიზნე ჯგუფები წინა სასკოლო მზაობის, 5-6 წლის აღსაზრდელების აღმზრდელები იყვნენ.

ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგად საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით მიღებულ იქნა მრავალფეროვანი პასუხები, რომლებიც კვლევის მიზნებიდან გამომდინარე გაანალიზებულია და კლასიფიცირებულია. ძირითადი მიგნებები კი შემდეგია:

1) ბაღებში მეტწილად უცხოური, ქართულად ნათარგმნი ზღაპრები იკითხება. ქართული ხალხური ზღაპრები ნაკლებად იკითხება, თუმცა მათ შორის ყველაზე ხშირად შემდეგ ზღაპრებს ვხვდებით: „ნაცარქექია“, რწყილი და ჭიანჭველა“, „წიქარა“, „კომბლე“, „ხუთკუნჭულა" და „ნახევარქათამა“.
2) ზღაპრებს უმეტესად აღმზრდელები არჩევენ, ხშირად ბავშვებთან ერთად, თუმცა არსებობს გარკვეული რეკომენდებული ლიტერატურა, რომელსაც ბაღის გაერთიანებები სთავაზობენ ბაღებს (სასკოლო მზაობის პროგრამა: აქტივობათა კრებული, 2016).
3) როგორც აღმზრდელები აღნიშნავენ, ზღაპრების ანალიზი ბავშვების აქტიური მონაწილეობითა და ჩართულობით ხდება, წაკითხული ზღაპრის შესაბამისი ღია და დახურული კითხვების მეშვეობით. ასევე მომდევნო ეტაპზე ზღაპრის გავრცობა როლური და წარმოსახვითი თამაშების გზით ხორციელდება.
4) ზღაპრები არ არის თემატურად დაჯგუფებული. ზღაპრის კითხვის პროცესში ბავშვების აბსოლუტური უმრავლესობის ყურადღებას ინტონაცია და ილუსტრაციები იპყრობს, რაც შემდგომ ზღაპრის შერჩევას განსაზღვრავს.
5) როგორც აღმზრდელები აღნიშნავენ, ზღაპრის კითხვის შემდეგ, აღსაზრდელების კითხვები ძირითადად გამომდინარეობს ზღაპრის კითხვის პროცესში გაკეთებული აქცენტებიდან და პირდაპირ კავშირშია ზღაპრის გმირებთან ან მათ ქცევებთან.
6) კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო თუ რა ასპექტებზე ხდება ბავშვების ყურადღების გამახვილება ზღაპრების წაკითხვის პროცესში და კითხვის დასრულების შემდეგ. გვაინტერესებდა, ხდება თუ არა საერთოდ ეკონომიკურ ასპექტებზე მინიშნება ან მათი განხილვა. შედეგად გამოვლინდა, რომ ყურადღება ისეთ ასპექტებზე მახვილდება, როგორიცაა მეგობრობა, მზრუნველობა, სიკეთე და ბოროტება, მოხერხებულობა, თანადგომა და სხვა. თუმცა საერთოდ არ გამოვლენილა რომელიმე ეკონომიკურ საკითხზე აქცენტირება, მაშინ როცა, გამოკითხვის შედეგად დასახელებულ ზღაპრებში მაგალითად, „კომბლე“, „ნაცარქექია“, „რწყილი და ჭიანჭველა“ შესაძლებელი იყო ისეთ საბაზისო ეკონომიკურ ცნებებზე აქცენტირება და აზრის განვითარება, როგორიცაა „საკუთრების დაცვა“ (კომბლე), „უმუშევრობა და დასაქმება“ (ნაცარქექია), „საქონლის გაცვლა-ბარტერი“ (რწყილი და ჭიანჭველა) და ა.შ.

მიგვაჩნია, რომ ქართულ ხალხურ ზღაპრებს აქვს ადრეული ასაკის ბავშვებისათვის საბაზისო ეკონომიკური ცნებების შესწავლისათვის მნიშვნელოვანი ასპექტები, რომელთა არსსა და მნიშვნელობაზე შესაძლებელია კითხვის პროცესში ყურადღების გამახვილება და მასზე დისკუსია. კვლევა ამ მიმართულებით გრძელდება და შემდგომი ეტაპი მოიცავს უფრო სიღრმისეული დეტალების გამოვლენას, რომელიც უშუალოდ კავშირშია ქართული ხალხური ზღაპრების მეშვეობით ადრეული ასაკის ბავშვებში

(წინა სასკოლო ასაკის) საბაზისო ეკონომიკური ცნებების შესწავლას და მეთოდოლოგიურ მიდგომებს.

დასკვნები

1) როგორც კვლევამ გამოავლინა საბავშვო ბაღებში ძირითადი საბავშვო ლიტერატურა არის ზღაპრები და მოთხრობები, რომლებსაც არჩევენ პედაგოგები დამოუკიდებლად, თუმცა ზოგჯერ ხდება რამდენიმეს შეთავაზება და იქედან ბავშვები თავად არჩევენ. ეს ფაქტი იძლევა შესაძლებლობას, რომ კონკრეტული ზღაპარი რამდენჯერმე იქნას წაკითხული და განხილული საბავშვო ჯგუფებში.
2) სხვადასხვა ბაღებში, როგორც საჯარო ასევე კერძოში, ერთსა და იმავე ასაკობრივ კატეგორიის ბავშვებს შეიძლება ასწავლიდნენ სხვადასხვა სასწავლო მასალით, ან შეიძლება იკითხებოდეს სხვადასხვა ზღაპარი, მოთხრობა, იგავი და ა.შ. ზოგადად არსებობს საბავშვო ლიტერატურის რეკომენდირებული ჩამონათვალი რომელსაც ბაღებს აწვდიან მეთოდისტები და ამ რესურსებიდან ხდება შერჩევა კონკრეტული აღმზრდელის მიერ;
3) როგორც აკადემიურ პერსონალთან გამოკითხვამ გამოავლინა, მომავალი აღმზრდელ პედაგოგების პროგრამა არ მოიცავს მეთოდოლოგიურ მითითებას საბავშვო ლიტერატურის სწავლებასთან დაკავშირებით, ასევე არ ხდება რეკომენდაციის გაწევა საბავშვო ლიტერატურის ტიპთან თუ შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებით.
4) ძირითადად ბაღებში იკითხება უცხოური, ქართულად ნათარგმნი ზღაპრები თუმცა ასევე იკითხება ცნობილი ქართული ხალხური ზღაპრებიც; როგორც აღმზრდელებთან კვლევისასა გამოვლინდა, თანამედროვე, ნათარგმნი ახალი გამოცემები არის უფრო ილუსტრირებული და ბავშვებს მოსწონთ ტექსტები ნახატებთან ერთად.
5) საბავშვო ბაღებში იკითხება ის ქართული ხალხური ზღაპრები, რომლებიც შეიცავენ საბაზისო ეკონომიკურ ცნებებს და არსებობს შესაძლებლობა მათზე აქცენტირების;
6) ზღაპრების განხილვისას ძირითადი აქცენტი კეთდება გმირების ხასიათზე, ემოციების გამოხატვაზე, ვიზუალზე/გარეგნობაზე. ასევე განიხილება ისეთი ცნებები როგორიცაა სიყვარული, მეგობრობა, თანადგომა და ა.შ.;
7) ეკონომიკური ცნებების შემცველი ზღაპრების წაკითხვისა და განხილვისას არ ხდება აქცენტირება ეკონომიკურ ან ფინანსურ ასპექტებზე/კონცეპტებზე;

ჩატარებული კვლევის შედეგებისა და მიღებული დასკვნების საფუძველზე, მიგვაჩნია რომ ადრეული განათლების სასწავლო დაწესებულებებში, წიგნიერების სივრცეში, სასურველია ბავშვები მარტივი ტექსტებით, მათთვის გასაგები ენით ეზიარონ საბაზისო ეკონომიკურ ცნებებს, მათ შორის დასაქმებას, ხელფასს, საკუთრებას, ბიუჯეტს, ბარტერს, საქონელს, საქონლის ფასს და სხვა, ვინაიდან სწორედ ეკონომიკური ცნობიერება უზრუნველყოფს ადრეული ასაკიდან ბავშვის სათანადოდ მომზადებას ცხოვრებისათვის და ზოგადად, თანამედროვე სწრაფად განვითარებად და გამოწვევებით

აღსავსე სოციუმის დამოუკიდებელი წევრობისათვის.

ლიტერატურა/REFERENCES

1. თავზიშვილი, გ. (1974). *რჩეული პედაგოგიური თხზულებანი* (Vol. 2). თბილისი.
2. *სასკოლო მზაობის პროგრამა: აქტივობათა კრებული.* საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. გაეროს ბავშვთა ფონდი.
3. საქსტატი. (n.d.). *ადრეული და სკოლამდელი აღზრდა და განათლება.* მოძიებულია: ივლისი 2024, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/58/adreuli-da-skolamdeli-aghzrda-da-ganatleba
4. საქსტატი. (n.d.). *დაბადება.* მოძიებულია: ივლისი 2024, from საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/319/dabadeba
5. უზნაძე, დ. (2005). *ბავშვის ფსიქოლოგია.* თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
6. ჭიაბრიშვილი, ნ. (2015, აპრილი 17). *ეკონომიკური წიგნიერება როგორც "თამაშის წესების" გაცნობა.* Retrieved from mastsavlebeli.ge: https://mastsavlebeli.ge/?p=1714;
7. ჯიჯავაძე, ნ., & კუხალეიშვილი , თ. (2019). *ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხის სტანდარტის გზამკვლევი.* თბილისი: გაეროს ბავშვთა ფონდი;
8. Alleman, J., & Brophy, J. (2010). Effective integration of social studies and literacy. In M. E. McGuire, & B. Cole (Eds.), Silver Springs, MD: National Council for the Social Studies.
9. Berk, L. E. (1992). Children's private speech: An overview of theory and the status of research. *Private speech: From social interaction to self-regulation*, 17-53;
10. Berti, A. E. (1988). The child's construction of economics. *Editions de la Maison des Sciences de l'Homme;*
11. Bruker, M. R. (1970). Economic education in the elementary school. *Peabody Journal of Education*, *47*(4), 238-242;
12. Bruner JS. Narrative, culture, and mind. In: Schiffrin D, De Fina A, Nylund A, eds. Telling Stories: Language, Narrative, and Social Life. Washington: Georgetown University Press 2010. p. 45-49
13. Davison, D. G., & Kilgore, J. H. (1971). A model for evaluating the effectiveness of economic education in primary grades. *The Journal of Economic Education*, *3*(1), 17-25.
14. Katamadze , G., Tavdgiridze, L., & Bolkvadze, M. (2023). Child labour exploatation: politics, law and social attitudes in Georgia. *Access to science, business, innovation in digital economy*, *4*, 24-33;
15. Koeller, S. (1981). Economics education applied to early childhood. *Childhood Education*, *57*(5), 293-296.

16. Kourilsky, M. (1977). The Kinder-Economy: A Case Study of Kindergarten Pupils' Acquisition of Economic Concepts. The Elementary School Journal, 77(3), 182–191. http://www.jstor.org/stable/1000877).
17. Larkins, A. G., & Shaver, J. P. (1969). Economics Learning in Grade One: The USU Assessment Studies. *Soc Educ*.
18. Laura, F., & Kready, B. S. (1916). A study of Fairy Tales.
19. Mandzik, A. (2021). Once upon an economics course: using fairy tales to teach economics. *Available at SSRN 3776011*.
20. McKenzie, R. B. (1971). An exploratory study of the economic understanding of elementary school teachers. *The Journal of Economic Education*, *3*(1), 26-31.
21. Piaget, J. (2003). Part I: Cognitive Development in Children--Piaget Development and Learning. *Journal of research in science teaching*,, 40;
22. Rodgers, Y. V. D. M., Hawthorne, S., & Wheeler, R. C. (2004). Teaching Economics in the Primary Grades: Standards and Strategies. *Available at SSRN 558022*.
23. Tavdgiridze, L., Katamadze, G., & Bolkvadze, M. (2024). Economic Awareness and Early Childhood Education. *Economics & Business (1987-5789)*, *16*(1);
24. Todorova, M. (2011) Mastering of elementary knowledge of economics in preschool age as investment in the future, magazine "Management and education", booklet 4, Volume 7, Burgas).